„თვითმმართველობა ულტიმატუმია საქართველოს ყოველგვარის საქმიანობისა. საცა ულენდა ვალდებული, იქი ყველგან ხელობს... ყოველი სახელმწიფოები, რომელნაც ბუნდი

სამეგრელოს რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენა

„არ გადაუხვიოთ იმ პროგრესის გზიდან, რაც ავირჩიეთ 4 წლის წინ და რაც შეუქცევადად მიგვიყვანს საერთო მიზნამდე. ჩვენ გვექნება მდიდარი, მშვიდობიანი და განვითარებული ქვეყანა“.

კახა კალაძე.

1

გაუსვა ხაზი. მისი თქმით, ახალგაზრდებმა ისეთი პროფესიული განათლება უნდა მიიღონ, რომ სწავლის დამთავრების შემდეგ საკუთარი შემოსავალი ჰქონდეთ. მთავრობის მეთაურმა ადგილობრივ მოსახლეობას სიმტკიცისთვის მადლობა გადაუხადა და ისტორიული შერიგების პროცესში მათ როლზე გაამახვილა ყურადღება. „მე მჯერა, თქვენ, მეგრელები, უდიდეს როლს შეასრულებთ ისტორიული შერიგების პროცესში. ხელი უნ-

და გავუწოდოთ აფხაზ ძმებს და ჩვენკენ შემოვატრიალოთ ისინი. ამ შერიგებით უნდა დაიწყოს საქართველოს გამთლიანება და თქვენ ხართ ამ საქმეში ჩვენი მთავარი დასაყრდენი! რადგან აფხაზეთი აქედან ძალიან ახლოა. მინდა, სწორედ სამეგრელოდან მივმართო აფხაზ ძმებს: მინდა გჯეროდეთ, რომ ჩვენ გვინდა შერიგება, გვინდა მშვიდობა და ეს ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე დაამტკიცა“,–განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ სამშვიდობო პოლიტიკის მაგალითი რუხის რეგიონალური მნიშვნელობის საუნივერსიტეტო კლინიკაა. „ჩვენი სურვილია, რომ თქვენც ისარგებლოთ ამ ულტრათანამედროვე სტანდარტების კლინიკით. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ ღირსეულად მიგიღებთ. იგივე შემიძლია ვთქვა რუხის სავაჭრო ცენტრზე–„ვისურვებ, რომ ეს ადგილი კიდევ ერთი გადებული ხიდი აღმოჩნდეს ჩვენ შორის“,–ამბობს გიორგი კვირიკაშვილი.

პრემიერ-მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას დევნილებსაც მიმართა და აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნისთვის ყველაფერს იღონებს. მთავრობის მეთაურის განცხადებით, 2012 წლიდან დღემდე 12 ათასზე მეტმა ოჯახმა უკვე მიიღო მუდმივი საცხოვრებელი და დღეს ეს ხალხი საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრობს. ამჟამად კი, ზუგდიდში, ბინები 2 ათასზე მეტი დევნილი ოჯახისთვის შენდება. გიორგი კვირიკაშვილმა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს გამარჯვება უსურვა. „დარწმუნებული ვარ, რომ ისინი წარმატებულად მიიტანენ ჩვენი პარტიის, „ქართული ოცნების“ სათქმელს თითოეულ ამომრჩევლამდე, იქნებიან შეუპოვრები გამარჯვებისთვის ბრძოლაში და ამით ყველანი ერთად გავიმარჯვებთ. ჩვენი საქართველო, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს“,–განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლამდე სამეგრელოს მოსახლეობას ვიცე-პრემიერმა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ მიმართა. „არ გადაუხვიოთ იმ პროგრესის გზიდან, რაც ავირჩიეთ 4 წლის წინ და რაც შეუქცევადად მიგვიყვანს საერთო მიზნამდე. ჩვენ გვექნება მდიდარი, მშვიდობიანი და განვითარებული ქვეყანა“,-განაცხადა კახა კალაძემ.

შეხვედრა ხობის მოსახლეობასთან

ხობში, „ქართულ ოცნება დემოკრატიულ საქართველოს“, გოდერძი ბუკია წარმოადგენს. 23 ივლისს ადგილობრივ მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა წარუდგინა.

„მინდა წარმოგიდგინოთ ქართული ოცნების კანდიდატი გოდერძი ბუკია. ბატონ გოდერძის დაახლოებით 20 წელია ვიცნობ. მოგეხსენებათ, რომ მთავრობამდე გარკვეული პერიოდი კერძო სექტორშიც მომიწია მუშაობამ და ბატონი გოდერძი ყოველთვის გამოირჩეოდა განსაკუთრებული აქტიურობით, განსაკუთრებული სიყვარულით თავისი კუთხის, თავისი ხობის მიმართ. ყველა ადამიანი, ვისაც სურვილი აქვს აგური დადოს ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში, ვისაც უნდა, რომ კეთილდღეობა მოიტანოს ჩვენი მოქალაქის ოჯახში, ერთიანდება ჩვენთან ერთად.“

მთავრობის მეთაურმა ხობში დაგეგმილ პროექტებზეც ისაუბრა: „ხობში ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი გეგმები, სპორტული კომპლექსების მშენებლობის, წყალმომარაგების, კანალიზაციის სისტემების გაუმჯობესების, ოჯახური სასტუმროების განვითარებისა და ამისთვის ფინანსური ხელშეწყობის. და რა თქმა უნდა, ადგილობრივი წარმოების პოტენციალის განვითარებას, რისთვისაც, სხვათა შორის, ბატონი გოდერძი მუხლჩაუხრელად ყოველდღე ზრუნავდა და მომავალშიც იზრუნებს“.–განაცხადა „ქართული ოცნების“ ლიდერმა.

* * *

დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნების“ სამეგრელოს რეგიონის შვიდივე მაჟორიტარობის კანდიდატი დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს,-ამის შესახებ განცხადება პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ზუგდიდში,

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას გააკეთა. გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, თითოეულ მათგანს რეგიონში არსებული პრობლემების ძალიან კარგი აღქმა და ხედვა აქვს. „ეს ხედვა, რა თქმა უნდა, ერთობლივია. სამეგრელოს აქვს უდიდესი პერსპექტივა და შესაძლოა, გახდეს ძალიან ბევრი კუთხით ლოკომოტივი ქართული ეკონომიკის განვითარების. მარტო ანაკლიის პროექტი იქნება ის პროექტი, რომელიც ათასობით სამუშაო ადგილს გააჩენს. რამდენიმე ათასი ჰექტარი თავისუფალი ეკონომიკური ზონა, თვითონ პორტი, საქართველოში სატრანზიტო პოტენციალს თვისობრივად ახალ დონეზე აიყვანს“,–აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, გარდა ამისა, არსებობს საწარმოო, სასოფლო-სამეურნეო და უპირველეს ყოვლისა, კულტურული პოტენციალი. „სამეგრელო გახლავთ უმდიდრესი ამ კუთხით და ჩვენი ვალია, განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინოთ. ამიტომ, ჩვენ წარვადგინეთ ზუსტად ის კანდიდატები, რომლებსაც ყველაფერ ამის თაობაზე აქვთ ჩამოყალიბებული, მკაფიო ხედვა და სამოქმედო გეგმა. ისინი იქნებიან გამომხატველები მეგრელების ხმის საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში–პარლამენტში.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

მეუფე გრიგოლს 60 წლის იუბილე მიულოცეს



18 ივლისს ქ. ფოთში ახალი საქართველოს უნივერსიტეტმა სამეცნიერო კონფერენციას-„თანამედროვე უნივერსიტეტის მისია“ უმასპინძლა.

კონფერენცია, რომელიც ახალი საქართველოს უნივერსიტეტის კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი არქივის ორგანიზებით გაიმართა, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ, ყოვლადუსამღვდელოეს გრიგოლის დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა.

საჭიმო პარაკლისი მეუფემ იპარქიის სამღვდელოებასთან ერთად ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში აღავლინა. პარაკლისს მრევლთან ერთად ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ხობის მონასტერში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

ხობის ღვთისმშობლის მიძინების მონასტრის ეზოში საკათალიკოსო სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ძველი ნაგებობის გაწმენდის შედეგად პირველ სართულზე აღმოჩნდა მარანი, 11 სხვადასხვა ზომის ქვევრით, ასევე ადრე ქრისტიანული პერიოდის ნაგებობის ნაშთი და ნაგებობის ქვეშ ადრე ანტიკური ხანის ნამოსახლარი.

სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილემ ლევან ხარატიშვილმა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ, სარესტავრაციო სამუშაოების ხელმძღვანელმა თამაზ იაქაშვილმა, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლიმ, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს.

უახლოეს დღეებში, მეცნიერების მიერ აღნიშნული არტეფაქტების შესწავლა იგეგმება, რის შემდგომაც სარესტავრაციო სამუშაოები გაგრძელდება.

კეთილმოწყობის სამუშაოები ქალაქ ხობში

ხობის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება გრძელდება.

ქალაქ ხობში მიმდინარეობს კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სკვერის, ცოტნე დადიანის ქ. N202-ზე მდებარე შენობის ფასადის, სკვერის, პანოს და დეკორატიული ღობის სარემონტო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში, ასევე გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პანდუსების მოწყობა. პროექტს, რომლის ღირებულებაც 33997.13 ლარია, შპს „სავე 1974 SAVE 1974” ახორციელებს. სამუშაოზე 10 ადგილობრივია დასაქმებული.

„სიცოცხლე გარემოს“

„თორსის ქალთა საინიციატივო ჯგუფი“ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრისა და ასოციაცია „ათინათის“ პარტნიორობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის–„გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის საქართველოში“ ფარგლებში მოპოვებული გრანტით ახორციელებს პროექტს– „სიცოცხლე გარემოს“. პროექტის ფარგლებში, თორსადღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში ეკალ-ბარდებისგან და ნარჩენებისგან გაიწმინდა 3 კილომეტრიანი გზის მიმდებარე ტერიტორია. თორსის, ხეთის, ხამისქურის და პირველი მაისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით გაიმართა სემინარი, მომზადდა და გარემოსდაცვით საკითხებზე ბუკლეტები დაიბეჭდა, განთავსდა საინფორმაციო ბანერები, მომავალში დაიდგმება სხვადასხვა ზომის 11 ერთეული ურნა, დამონტაჟდება ვიდეოთვალი.

პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადაფინანსებით ხორციელდება.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) საგრანტო პროგრამა დაიწყო

აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მიზნები

• პირველადი წარმოების პროდუქტის ხარისხისა და მოსავლიანობის ზრდის ხელშეწყობა;

• არსებული ბაღების პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების ხელშეწყობა;

• მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი აგროსაწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზაციის ხელშეწყობა;

• საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

პროგრამის კომპონენტები

პროგრამა მოიცავს კომპონენტებს როგორც ინდივიდუალური ფერმერების, ასევე გადამამუშავებელი საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების თანადაფინანსებისთვის.

• პირველადი წარმოების კომპონენტი–ინდივიდუალური ფერმერების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსება;

• გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტი–მოქმედი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დაფინანსება;

პროგრამის პრიორიტეტები

პროგრამის განხორციელების მიზნობრივი გეოგრაფიული არეალია:

• შიდა ქართლი;• კახეთი;• სამეგრელო;
• აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

პირველადი წარმოების და გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტების ფარგლებში დასაფინანსებელი სასოფლო-სამეურნეო კულტურები:

• ხურმა; • ვაშლი;• ატამი; • კივი;• ბოსტნეული; • დაფნა; • თაფლი;• ლურჯი მოცვი.

საგრანტო პროგრამას ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. პროგრამის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გვერდზე: http://apma.ge/projects/readagricultural–industry/16:paren

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის პროგრამა იწყება.

საქართველოს ხელისუფლება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერას აგრძელებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო კოოპერატივების მიერ შეძენილი, საქართველოში აწყობილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას განახორციელებს.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისას სახელმწიფოსგან 30%-იან თანადაფინანსებას მიიღებენ.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელიც რეგისტრირებულია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ დასახლებებში ან/და რომლის მეპაიეთა არანაკლებ 50%-ს წარმოადგენენ დევნილები, ქალები და ახალგაზრდები, ტექნიკის შეძენისას მისი ღირებულების 40% -ით დაფინანსდება.

ახალი პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ფრაგმენტირებული მიწების კონსოლიდაციით, ფინანსური რესურსის გაერთიანებით და საწარმოო ხარჯების შემცირებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აგროვადებში დამუშავების საშუალებას მისცემს.

სახელმწიფო პროგრამა ხელს შეუწყობს კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და მოსავლიანობის ზრდას, რაც პროდუქციას კონკურენტუნარიანს გახდის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სახელმწიფო პროგრამაში დარეგისტრირებას ონლაინ რეჟიმში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს გვერდიდან შეძლებენ.

პროგრამებით დაინტერესებულ პირებს დეტალური ინფორმაციისთვის შუძლიათ ადგილობრივ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს მიმართონ შემდეგ *მისამართზე: **ქალაქი ხობი, ცოტნე დადიანის №189, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ოთახი 303, ტელეფონი 595 858393.595 858322.***

თამთა ხარამიშვილი

ცამეტი ივნისის ავბედითი ღამე...

ტრაგედია, რომელმაც მშვიდობიან, არაომიანობის პერიოდში შეიწირა მრავალთა სიცოცხლე, მათ შორის იყვნენ ხობელი ულამაზესი და უნიჭიერესი დები ინდირა და ლიზი ზარანდიები, რომლებიც ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ, თავისებურად ალამაზებდნენ და განუმეორებელ ხიბლს მატებდნენ ირგვლივ მყოფთ. ისინი, სიცოხლისთვის და სიყვარულისთვის იყვნენ დაბადებულები, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო... თავიანთი ადრე წასვლით, ახლობელ ადამიანებს დაუტოვეს ღრმა ჭრილობა, რომელსაც ყოველდღიურად მარილი ეყრება და გაუსაძლისი ხდება. მათ გარეშე, ძლიერების შერყევა დაეტყოთ მშობლებს, ძმას, მეგობრებს, ჩაქრა ორი გამორჩეული სანთელი.

სამუდამო სასუფეველში დამკვიდრებული დები, იძლევიან იმის მაგალითს, თუ რამდენად აუცილებელია სიყვარულით და სიკეთით ცხოვრება.

ნუგეში ამ შემთხვევაში მეგობრების გულში სამუდამო ბინადადებულობაა, რომლითაც გრძელდება ინდირა და ლიზის ხსოვნა.

სწორედ ინდირა და ლიზის სახელების ხსოვნას, მათ მიერ ცხოვრების ძალიან ხანმოკლე წლების გახსენებას მიეძღვნა საღამო, რომელიც ამ დღეებში ჩატარდა ხობის თედო სახოკიას სახელობის რაიონულ ბიბლიოთეკაში, სადაც გაიხსნა მათი სახელობის კუთხე.

ღონისძიებას ორგანიზება გაუკეთა ზემოთ აღნიშულმა ბიბლიოთეკამ, ხოლო იდეის ავტორი და შემსრულებელი ინდირასა და ლიზის მეგობარი, ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრი თამთა ხარამიშვილი იყო.

თამთა, ჰამბურგის გამოყენებადი მეცნიერების უნივერსიტეტის ლოჯისტიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია. მან ბიბლიოთეკას მიმართა თხოვნით, გაეხსნა დები ზარანდიების სახელობის კუთხე, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით ეს პროექტი წარმატებით განხორციელდა.

ცამეტ ივნისს, ბიბლიოთეკაში შეკრებილმა საზოგადოებამ, კიდევ ერთხელ გაიხსენა ინდირა და ლიზი. მოიგონეს მათი ბავშვობისა და სკოლაში გატარებული წლები, მათი სტუდენტობა... რა თქმა უნდა, ემოციები ჭარბობდა ოფიციალურ მხარეს, მაგრამ ბედნიერებაა გყავდეს ისეთი მეგობარი, როგორიც თამთა ხარამიშვილია, რომელმაც თავისებურად უკვდავყო დები ზარანდიების სახელები.

დღევანდელი ნომრის სტუმარია ჩვენი თანამემამულე თამთა ხარამიშვილი, რომელსაც უკეთ გაიცნობს მკითხველი.

„გიყურებ და კვდება გული, გიჯინექ დო მანგარინე“

შენი კარიერა და შემოქმედება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ აისახა. ამჟამად სად ხართ და რას აკეთებთ?

–ვარ მეოთხე კურსის სტუდენტი, ლოჯისტიკის ფაკულტეტზე, ჰამბურგის გამოყენებადი მეცნიერების უნივერსიტეტში (hamburg universitety of Applied Sciences).

როგორია თქვენი ახლო და შორეული გეგმები?

–ამ ეტაპზე ჩემს გეგმებში გამოცდების ჩაბარება შედის, პარალელურად ვცდილობ პრაქტიკის ადგილის მიღებას რამდენიმე ფირმისგან.

სამომავლო გეგმები, საქართველოს უკავშირდება, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

რამდენი წელია ხართ გერმანიაში, ხომ არ გაგიჭირდათ შეგუება ახალ გარემოსთან ადამიანებთან, რა არის ის, რაც ყველაზე მეტად მოგწონთ იქ და რის გადმოტანას ისურვებდით საქართველოში.

–ხუთი წელი შესრულდა რაც ჰამბურგში ვარ. ვთვლი, რომ შეგუების პროცესი არ იყო რთული, რაც ნაწილობრივ ევროპელების თავისუფალმა და ღია ურთიერთობებმა განაპირობა. აქ გიღებენ ისეთს, როგორიც ხარ, იღებ ნაკლებ კრიტიკას განსხვავებული შეხედულებისა თუ მენტალიტეტის გამო. მისაბაძია, და ამით ახალს არაფერს ვიტყვი, გერმანელების დისციპლინა, ურთიერთპატივისცემა–პიროვნებების მიმართ და ღვთაებრივი დამოკიდებულება სამუშაოსა და ზოგადად სამსახურისადმი.

სად უფრო დატვირთული და რთულია ცხოვრება–გერმანიაში თუ საქართველოში?

–რათქმაუნდა გერმანიაში და ეს ცხოვრების სტილიდან გამომდინარე: უნივერსიტეტი, შემდეგ სამსახური, სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი თუ კულტურული ღონისძიებები, მეგობრები, პატარა სამოგზაურო ტურები. მოკლედ, სულ გადარბენაზე ხარ. გიწევს დროის სხვადასხვა კრიტერიუმებით გადანაწილება, რაც შედეგებზე ლოგიკურად აისახება. ფაქტიურად გეგმავ შენს ცხოვრებას, აქედან გამომდინარე ის პასუხისმგებლობა, რაც ამ პროცესს თან ახლავს არ არის იოლი.

რა გასწავლა ევროპაში ცხოვრებამ?

–საკუთარ თავთან მუშაობა, დამოუკიდებლად ცხოვრება და პასუხისმგებლობა.

რა აზრისა ხარ ვიზალიბერალიზაციაზე, რატომაა ის მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის?

–რამდენიმე ასპექტია–პირველი, ეკონომიკური ასპექტი, ეს გულისხმობს საქართველოსთვის ევროკავშირის 500 მილიონიანი ბაზრის ხელმისაწვდომობას. რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მეორე–საქართველოს დემოკრატიული სტრუქტურის გაღრმავებას და სასამართლო სისტემის რეფორმირებას. და რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია–პიროვნული განვითარების შესაძლებლობა, განსხვავებული კულტურისა და შეხედულების მქონე ადამიანებთან ურთიერთობა, ახალი გარემოს აღქმა, წინ წასვლის, მეტის მიღებისა და დაუფლების სურვილს გაზრდის. ეს ერთგვარი დაუსრულებელი ჯაჭვია (როგორც მეგობრებთან ვამბობ ხოლმე–დოპინგი!

რა არის ქველმოქმედება, რაში გამოიხატება იგი?

–ქველმოქმედება ჩემთვის არის მოვალეობა. მიღებული სიკეთის გაზიარება სხვებთათვის, სულიერი განვითარების გამოხატულება.

რას წარმოადგენდნენ შენთვის ინდირა და ლიზი ზარანდიები?

–ჩვენ სამივენი ხობში გავიზარდეთ და ერთი სკოლა დავამთავრეთ. მე და ლიზი პირველი კლასიდან ერთად მოვდივართ, ლიზი ყოველთვის გამორჩეული იყო, როგორც ფიზიკურად, ასევე შესაძლებლობებითაც. მისი ცეცხლისფერი თმები და ჭორფლიანი სახე დღემდე მახსოვს. როცა გავიზარდეთ მიმართვის ფორმა იყო, ჩემო ცეცხლავ, ჩემო წითურავ. მეგობარი, რომელთანაც ყველაფერზე შეგეძლო საუბარი. გულისხმიერი და სიკეთით სავსე. ინდირა ჩვენზე დაბალ კლასში სწავლობდა. ძალიან ცოტას თუ ვიცნობ, მსგავსი სიცოცხლით სავსეს და მხიარულს. ძალიან თბილს და მოსიყვარულეს. ამ ბავშვებმა უდიდესი კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში, მათი სიყვარული უსაზღვრო აღმოჩნდა, მათ გარშემო მყოფი ადამიანებისთვის. ისინი დარჩებიან ჩემს ცხოვრებაში, მეხსიერებაში, როგორც ორი მანათობელი.

საიდან და როგორ გაჩნდა იდეა, დები ზარანდიების სახელობის უკვდავსაყოფად გაგეკეთებინათ რამე?

ლიზი ზარანდია

ინდირა ზარანდია

–დაახლოებით ერთი წლის წინ, საქართველოში ყოფნისას, საშინელი უმოქმედობისა და უსუსურობის შეგრძნება მქონდა. მინდოდა მათი სახელების უკვდავსაყოფად რამე გამეკეთებინა, ლიზი და ინდირა იმსახურებდნენ ამას და ჩემი სურვილი ამ ფორმით გამოვხატე.

როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი, რა შრომა გასწიეთ ამისთვის, ვინ ამოგიდგათ მხარში და გაითავისა ეს ყველაფერი?

–ეს არ არის პირველი საქველმოქმედო აქცია. შარშან ჰამბურგში მოვაწყვეთ ე.წ. „Flohmarket“ (ძველი ნივთების, წიგნების, სათამაშოების და სხვა ნივთების გაყიდვა) შემოსული თანხა მთლიანად გადავურიცხეთ სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახს თბილისში, ქალბატონ ნონა ბაქრაძეს, რომელიც სახლის გარეშე დარჩა. ეს ყველაფერი მოხდა ჰამბურგში მცხოვრები ქართველების დახმარებით (განსაკუთრებული მადლობა მარიამ გოთუას), მოდიოდნენ ჩემთვის უცნობი ადამიანები, მოჰქონდათ ნივთები, რაც შეეხება აქციას საქართველოში, ხობის საჯარო ბიბლიოთეკაში ლიზი და ინდირას სახელობის კუთხის გახსნის ორგანიზებაში ნებართვა და დახმარება მივიღე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელ ბატონ გოჩა ქაჯაიასგან და საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონ ედიშერ ჯობავასგან.

წიგნების ნაწილი არის ჩემი პირადი ბიბლიოთეკიდან, ნაწილი გერმანელი მეგობრებისგან, ნაწილი კი სპეციალურად ნაყიდია. ქართული წიგნები თბილისში იქნა შეძენილი და უღრმესი მადლობა მინდა ამისთვის გადავუხადო ნინო პაჭკორიას. ასევე, ირაკლი ბაკურაძეს, რომელიც არის გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“ დირექტორი. თავისი წვლილი შეიტანა ასევე, ირაკლი გვინერიამ, რომლის ძალისხმევითაც მივიღეთ გამომცემლობა „ბიბლუსისგან“ წიგნები. უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო ხობის საჯარო ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს დახმარებისა და აქციის ორგანიზებისთვის. ასევე თანადგომისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლელა ალანიას.

რა სახის ლიტერატურას ჩუქნით რაიონულ ბიბლიოთეკას, მკითხველთა რა კატეგორიისთვის არის იგი განკუთვნილი, დაახლოებით რა რაოდენობის წიგნებია?

–ვეცადე წიგნები ყველა ტიპის კატეგორიისთვის მისაღები ყოფილიყო, არის რამდენიმე შემეცნებითი, სალიტერატურო და საბავშვო წიგნები. დაახლოებით 70 ცალი.

ეს აქცია ქველმოქმედებაა თუ საჩუქარი მარადისობაში გადასული ახალგაზრდა დების მოსაგონებლად?

–რთულია გამოვყო ერთმანეთისგან, რადგან ჩემი მიზანია ქველმოქმედება მათი სახელის უკვდავსაყოფად. აქვე დავამატებ, რომ ეს აქცია არ იქნება ერთჯერადი.

რა არის თქვენთვის ხობი, რას ეტყვით ხობელებს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს.

–დღესდღეობით ჩემი ურთიერთობა ხობელ ბავშვებთან, იქაურ მეგობრებთნ მხოლოდ მიმოწერით შემოიფარგლება, ლოგიკური მიზეზების გამო. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ იმ წიგნების სია (ქართული ნაწილი), მათი შედგენილია და სპეციალურად იქნა შეძენილი. მხოლოდ ერთს ვეტყოდი მათ, აკეთეთ ის, რაც სიამოვნებას განიჭებთ, ნუ მისცემთ სხვებს უფლებას გადაგიწყვიტონ რა ისწავლოთ, სად ჩააბაროთ, ვისთან იმეგობროთ, იყავით ღია ურთიერთობებში და გამოიყენეთ ყოველი წუთი თქვენი სურვილების განსახორციელებლად და რადგან განათლება ამ ყველაფრისთვის ფუნდამენტს წარმოადგენს, იმედი მაქვს, ახალი წიგნები ჩვენს ქალაქში დაგეხმარებათ იპოვოთ და აღმოაჩინოთ საკუთარი თავი (ამით შეიძლება ითქვას, ჩემი დავალებაც შესრულებული იქნება, ნაწარმოებებს, რომელსაც კითხულობენ აქვს აწმყო, ნაწარმოებები, რომელსაც ხელახლა კითხულობენ აქვს მომავალი–უმბერტო ეკო).

რაც შეეხება ხობს: ხობი ჩემი

» 5

ქალაქია, ეს არის სახლი, ჩემი ოჯახი, მამაჩემის მიერ მოყვანილი ვაზი ეზოში, დედაჩემის გამომცხვარი პურის სურნელი, ეზოში რამდენჯერმე წაქცეულის ნამტირალევი და მხიარული დღეები, ვაშლის ხე, რომელიც ჩემი მუდმივი სამალავი იყო (სანამ არ დაბერდა და არ მოჭრეს). გაზაფხულზე ამოსული მინდვრის ყვავილები და შემოდგომაზე სახლის ეზოში დაცვენილი ყვითელი ფოთლები, ზამთრის სიცივეში შეშის შიშინზე წაკითხული წიგნები და 12 წლის შემდეგ აღმოჩენილი სიყვარული ორი საყვარელი და თბილი დისადმი!

დაგვემშვიდობეთ თქვენი საყვარელი სტრიქონებით.

–ყოველთვის, როცა ახალი წიგნის კითხვას ვიწყებ, მგონია, მას თავიდან სიცოცხლე უნდა აჩუქო, შემდეგ იზრუნო და მხოლოდ ამის შემდეგ ის იწყებს სიარულს და საბოლოოდ ლაპარაკს.

ლონისძიების მონაწილეთა ბარათები

* * *

მე ვარ ინდირა და ლიზი ზარანდიების ძმის ლუკას მეგობარი. ჩემი და ჩემი მეგობრების სურვილია ვაჩვენოთ ლუკას თუ რა შეგვიძლია ჩვენ ერთიანობით. დიდი მადლობა ხარამიშვილების ოჯახს.

ანრი შენგელია

* * *

ჩვენი მხარდაჭერა ინიციატივას

სიცოცხლით სავსე, ორი ახალგაზრდის ინდირა და ლიზის უკვდავი სულის მოსაგონრად თამთა ხარამიშვილმა თედო სახოკიას სახელობის ბიბლიოთეკას სამოცდაათი წიგნი გადასცა, წიგნები არის როგორც უცხოენოვანი (ინგლისური, გერმანული), ასევე ქართველი კლასიკოსების ავტორობით.

მხარს ვუჭერთ, პრეზენტაციაზე, ახალგაზრდების მიერ გაჟღერებულ ინიციატივას–ტრადიციად იქცეს ყოველი წლის 13 ივნისს, ნებისმიერმა მსურველმა თითო წიგნი შემატოს ინდირა და ლიზი ზარანდიების კუთხეს და ამით უკვდავყოთ ორი ნიჭიერი და ლამაზი სულის ახალგაზრდის სახელი. თამთა ხარამიშვილმა მეგობრების სახელი დაუკავშირა წიგნიერებას, ცოდნას და მოუწოდა ახალგაზრდებს განათლების მიღებისკენ, რაშიც მათ დაეხმარება საჩუქრად გადაცემული ლიტერატურა.

მადლობა თამთა!

სვეტლანა გვასალია.

* * *

ჩემი პატარა ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე სამი წიგნი, მათ ვჩუქნი ბიბლიოთეკას წარწერით „ადამიანები, რომლებმაც გააერთიანეს საქართველო“. დიახ, ჩვენ გავერთიანდით თამთას იდეის გარშემო.

გოდერძი გადელია.

* * *

ჩემს შვილებს უყვარდათ სწავლა, აინტერესებდათ ცოდნის მიღება, ამიტომაც ჩვენ–მე და ჩემმა მეუღლემ დავტოვეთ მშობლიური სახლი ხობში და შვილებს დავუდექით გვერდით, გავყევით თბილისში და ვეხმარებოდით მათ ამ საქმეში. უნდა ვთქვა, რომ მათ გაგვიმართლეს, ფუჭად არ ჩაუვლია ჩვენს შრომას, თითქმის ბოლომდე ვიყავით გასულები და ამ დროს დატრიალებულმა ტრაგედიამ გაგვანადგურა ერთ დროს ბედნიერი ოჯახი, ჩამოგვექცა და ჩამოგვეშალა. ვცხოვრობთ და ვლოცულობთ ლუკასთვის და ინდირა და ლიზის სულებისთვის.

მინდა ჩემი ოჯახის სახელით მადლობა ვუთხრა ჩემი გოგოების მეგობარ თამთას და მის ოჯახს, მან მოახერხა ჩემი შვილების სახელების უკვდავყოფა.–***მალხაზ ზარანდია.***

მანანა შულაია.

ჩვენი სახელოვანი წინაპრები

თედო სახოკიას დიდი სიყვარულის ისტორია



შესრულდა 60 წელი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის თედო სახოკიას გარდაცვალებიდან. ღვაწლმოსილი პიროვნების ნათელი ხსოვნა, ისტორიის წინაშე ვალმოხდილი ადამიანის გახსენება ჩვენი, (და განსაკუთრებით ჩემი, ვინაიდან ვეცნობი და ვსწავლობ ამ ადამიანის ცხოვრებასა და მოღვაწეობას) მოვალეობა და აუცილებლობაა.

თედო სახოკიას არქივში ძალიან ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული მისი მეუღლის ნადე კეკელიას შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა პირადი წერილები, რომელშიც კარგად ჩანს ნადე კეკელიასა და თედო სახოკიას ურთერთობა, მათი სიყვარულის ისტორია და მეტად ტანჯულად, ერთმანეთს მონატრებული ცოლ-ქმრის ისტორია. მიუხედავად არქივის არაერთხელ შესწავლისა და ცხოვრების გაცნობისა, არის ისეთი წერილები, რომელშიც კარგად ჩანს ნადეს სულიერი მდგომარეობა, ხორციელი ტკივილების დათმენა და სარწმუნოებრივი სიძლიერე. საჭიროდ ჩავთვალე ერთი წერილის ამონარიდის გაკეთება და უცვლელად მიტანა მკითხველამდე.

თედო სახოკიას ოჯახი–„ამად მხედველთა–ვმადლობდეთ ღმერთსა და განძლიერდი“.

„ამად მხედველთა–ვმადლობდეთ ღმერთსა და განძლიერდი“. ამ სიტყვებით დაასრულა თავისი წერილი სენაკის მონასტრის ბერმა წმინდა ალექსი (შუშანიამ), რომელიც მისწერა თედო სახოკიას მეუღლეს–ნადე კეკელიას, ჯერ კიდევ 1911 წელს, როდესაც ნადე იმდროისათვის უკურნებელი სენით (ჭლექი) დაავადებული ებრძოდა თავის ავადმყოფობას. წმინდა ბერის ეს წერილი, მისთვის იქნებოდა ნუგეში, ამქვეყნიური ტანჯვა-ვაების გადატანაში. რამაც თავად ნადეს სულიერად მტკიცე ნებისყოფა, კიდევ უფრო გაუძლიერა. ეს სიტყვები ნათლად მეტყველებს ნადე კეკელიას ღვთისმოსაობაზე, ოჯახის ერთგულებასა და თვით თედო სახოკიას პატრიოტულ ბრძოლაზე.

თედო სახოკიას და ნადე კეკელიას (ქორწინება 1906-1918 წელი), მთელი მათი ხანმოკლე თანაცხოვრების მანძილზე იმდენი ტანჯვა, წამება, საყვარელ მეუღლესთან განშორება არგუნა ბედმა საყვარელ ცოლ-ქმარს. ამას ემატება თედოს ხუთჯერ საქართველოში პატიმრობა, ქუთაისის, სოხუმის, თბილისის ციხე, კატორღა–ციმბირში საუკუნოდ გადასახლება და შემდგომ საქართველოსგან საყვარელი მეუღლისგან და შვილებისგან შორს ემიგრაციაში წლების გატარებამ მოუწია.

თედოს–მეუღლე ნადე შვილი იყო, სამეგრელოში ცნობილი –დეკანოზის ანტონ კეკელიასი. ანტონ კეკელია იმ პერიოდში თავისი სულიერი ცხოვრებით გამოირჩეოდა, ამასთანავე ძალიან განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე იყო. მისი ამაგის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მის სახელს უკავშირდება საქართველოში ოცამდე სკოლის გახსნა.

ნადე (ნადეჟდა) კეკელიას დამთავრებული ჰქონდა თბილისის ქალთა სასულიერო სასწავლებელი. იმთავითვე მასწავლებლობდა ბანძის სკოლაში, რომელიც მამამისმა დააარსა.

თედომ და ნადემ ერთმანეთი ჯერ კიდევ თბილისში გაიცნეს. ნადეს სწავლისას, მათი ქორწინების შემდგომ, ისინი სოხუმში ცხოვრობდნენ. ნადეც აქვე სოხუმში მასწავლებლობდა.

მათ ნადე კეკელიას ორი შვილი ჰყავდათ თინათინი (თინა) და ვახტანგი.

თედო სახოკიას და ნადე კეკელიას ხანმოკლე ცხოვრების ისტორია დაკავშირებულია იმასთან, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ნადე იმ დროისთვის უკურნებელი სენით (ჭლექით) დაავადდა, ამას დაემატა მეუღლის თედოს არასტაბილური ცხოვრების პირობები, რაზეც ზემოთ ავღნიშნეთ.

ნადეს ხშირმა ავადმყოფობამ, ბავშვების მცირეწლოვანებამ, მეუღლისგან შორს ყოფამ კიდევ უფრო დაამძიმა მისი ფიზიკური მდგომარეობა. მისმა სპეტაკმა გულმა ვერ დაიტია ამდენი ტანჯვა და დარდი. ნადე სახოკიამ სიცოცხლის ბოლო წლები თავის მშობლიურ სოფელ ბანძაში გაატარა. ცხოვრების აღსასრულმაც იქ უწია. ჯერ კიდევ ახალგაზრდას 38 წლის ასაკში. 1918 წლის მარტში გარდაიცვალა და იქვე თავის მშობლიურ სოფელში დაკრძალეს.

ალექსი შუშანიას (თეკლათის მონასტრის ბერი) წერილი ნადე სახოკიასადმი კერძო ხასიათისაა, დართული აქვს ნადე სახოკიასადმი მიძღვნილი ლექსი 1914 წელი 11 მაისი თეკლათიდან ბანძაში:

ზეგარდამო მშვიდობა, მადლი და კურთხევა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. იყავნ შენთანა მდიდრად, რათა იტვირთო მხნედ საწუთრო ესე ბედისა, დაჩაგრულისა, ჭირი და ავადმოფობა ელისაბედმა მომითხრა შენი და კიდეც მომეთხოვა წერილი მომეწერა, რასაც სიამოვნებით ვასრულებ.

შვილო ნადე! შენ ახალგაზრდობიდან ზნეობით, პატიოსნებით და ღმრთის მოყვარულობით განირჩეოდი თანამყოფ ქალიშვილებისგან და ესეთი ციური თვისების სათნოებანი, რა რომ ღვთის საშურ თანამშემსმელ აშენებდა შენს სახელს, განა საფიქროა, რომ განსაცდელის დროს უსუსტოთ სულის შემყენებელ სათნოებას. არა, მე მწამს ყოველი შენზედ მოვლენა ჭირისა და მწუხარებისა, უფრო აღამაღლებს შენში შენს სულიერ მხარეს და როგორც ღრმა მორწმუნე ქრისტიანეთა ივნები, ჯუარს ეცმი და მხნედ დაითმენ სულის განმაბრწყინებელ ჯუარის სიმძიმეს, უკეთუ ვნება მეუფება განკურნებს, მარჯვენა მისი და თუ არადა, ამ საჯოჯოხეთო ცხოვრების გენიისაგან გაგათავისუფლებს, მხიარულად მიეყრდენ მამობასა მისსა, რომელმან ზიარ გყო ჯუარსა მისსა საუკუნო სუფევისა მისისადმი აღსაყვანად.

ამასთან გონების თვალით მიმოიხედე მსოფლიო ტანჯულთა კვნესა ვაებისაგან, რომელთა უმრავლესობას საყვარელი ძვირფასი გულშემატკივარი მამის ხელი არ ემსახურება და ყოველგვარ ნიჭიერ საჭიროებისაგან უნუგეშოდ მცირე რამეზედ განწირული აგდიათ სარეცელზე, ხოლო შენ შენი ძვირფასი მამა და ძმანი განუგეშებენ ტკბილი სიტყვებით და ყოველგვარ საჭიროებისამებრ დაუზოგველად შენი სიმრთელისათვინ ზომის მიღებით თავს გევლებიან, რაც იშვიათთა ხვედრია,–ამად მხედველთა–ვმადლობდეთ ღმერთსა და განძლიერდი.

აწ შვილო ნადე! დაუთმე ჯვარსა, თუმცა
მძიმეა და გემწარება,
ღვთისგან რგუნებულს ვერ ეტყვი ვარსა,
მასთან სუფევა ჯვრით გეხარება.
რაოდენიც ვაი აღმოიოხრო, ყველა
ზენარად შენახულია.
ვერ წონის ფასი, ქვეყნისა ოქრო,
ჯვარი მის მადლებში დაფარულია.
ნეტარ არს მონა, ვინცა ტანჯულა,
საწუთრო ბედი ვისთვის დახშულა.
რაც მას გემობდა, ყველა არ ქმნულა
მართლაც მწუხარე იგიც დაფლულა.
ნაცვალ ამათი აღდგეს ნეტარად
უხრწნელ სხეულით გაბრწყინებული,
ღმერთმან სუფევა არგოს ზენარად,
მკვირველ ტრფიალის აღმატებული.
ნადე! იტვირთე მხნეობიანად, რაც რომ
სამწუხრო ბედმა გარგუნა
სულსა არ ავნო ზნეობიანად, ხორცმა
რაც ტანჯვა ჯვარით გარგუნა.
ჭირი თუ დათმო ღმერთი გეახლოს,
ძალა ღვთიური განუგეშებდეს.
მწუხარებისა ცეცხლმან ვერ გავნოს,
მადლი ფარულად გიმსუბუქებდეს
წვეთიც არ დარჩეს შენი ოხვრანი,
საბაოთ ყურს არ მოეხსენიოს.
სული გეხუთვის გეწვის გრძნობანი,
ასე ყოველი მან მოგიხსენოს.
საყვარელ შვილის ულხენი წყლული.
მამის წინ კმევად ზე ამაღლდები
აღმოიოხვრე ტანჯული გული, ვით
ალვა ზენად მსწრაფლ ავარდების.
არამც გულნათქვი, უთქმელი
გრძნობაც,როგორც ტანჯულსა
ველად ებადოს,
მის წინ გაცხადდეს ფარული
გრძნობაც, სულის აზრვანი მას
განეცხადოს.
იცის სიმძიმე შენი ჯვარისა მან თვით
აღწერა სისხლისა მელნით
იცის გემოცა ნაღველ მწარისა, ძმა-
რიცა ღრუბლითა აწყურეს ლერწმით
რომელ შენიცა სახამილ მწველი
გრძნობით წვლილადიც შეტკბობილია,
რომ შეგინახოს, ასწილ გახაროს
ტანჯულ შვილია.
წიაღ სოფლისა იციან ყოველ,
რავდენად ღირდეს შენი წვალება.
მაშინ გიკვირდეს ფასის მცნობელი,
ჭირი რომ ლხენით გენაცვალება

შენი მომხსენი ალექსი ბერი.

ნადე სახოკიას გარდაცვალების შემდეგ, თედო სახოკიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მეორე ცოლშვილს არ მოჰკიდებია, მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება და მოცალეობა მცირეწლოვანი შვილების ირგვლივ აამოძრავა და თავის საყვარელ ქალ-ვაჟს შესაფერისი სწავლა-განათლება მისცა. თავად კი დარჩენილი ცხოვრება ერის სამსახურს შესწირა თავისი სამწერლო მოღვაწეობით.

ლატავრა ბუკია,
საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი.

(მასალა მომზადდა თედო სახოკიას არქივის მიხედვით).

სოფლის მეურნეობა

ხალხის საკეთილდღეოდ გატარებული რეფორმა

ჩვენმა ხელისუფლებამ ქვეყნის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად აგრარული სფერო აირჩია და ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარება დაიწყო, რომლის ძირითადი მიზანი პრობლემების გადაწყვეტაში ფერმერებისა და სოფლის მოსახლეობისთვის დახმარების გაწევაა. რეფორმების საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონსულტირების გზით, როგორც ცალკეული პიროვნების, ისე ფერმერული ჯგუფების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენას. მოქალაქეებში ცვლილებისადმი, აქტიურობისადმი მზადყოფნა, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარის ჩამოყალიბება, წარმოადგენს რეფორმის გადამწყვეტ ფაქტორს.

ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური კონკურსის წესით შერჩეული კვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული, რომელსაც ასევე კვალიფიციური და აგრარული სფეროს პროფესიონალი სპეციალისტი ანგულ მიქავა ხელმძღვანელობს. სამსახურმა სამწლიანი საქმიანობის მანძილზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა ფერმერებმა თუ ფერმერულმა ჯგუფებმა სამსახურის სპეციალისტების დახმარებითა და კონსულტაციების საფუძველზე შექმნეს კოოპერატივები, მიიღეს სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში მონაწილეობა და წარმატებებსაც მიაღწიეს. ესენია:

განხორციელებული პროექტები

I. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი

1. შპს „კოლხა“-სიმინდის გადამუშავება/სიმინდის ზეთის წარმოება-ქ.ხობი.გუბაზ მეფის 5-ინვესტირებული თანხა 1000000(დოლარი), მათ შორის შეღავათიანი აგროკრედიტი 500000 დოლარი, გრანტი 400000 დოლარი, საკუთარი წილი 100000 დოლარი.დასაქმდება 65 ადამიანი

2. შ.პ.ს. „ჯორჯიან პროდაქტს რენენსანსი“–თხილის გადამამუშავებელი საწარმო. (თხილის გული, მოხალული თხილი, ბლანშირებული თხილი და აგრეთვე ინოვაციური თხილის პროდუქტი–მოხალული, დამარილებული თხილი ნაჭუჭით.)–ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქუჩა, 234.–ინვესტირებული თანხა 782332 (დოლარი), მათ შორის შეღავათიან აგროკრედიტი 391166 დოლარი, გრანტი 312932.8 დოლარი, საკუთარი წილი 78233.2 დოლარი. დასაქმებულია 67 ადამიანი.

II. შეღავათიანი აგრო კრედიტი ხობის მუნიციპალიტეტში პროექტის ფარგლებში ფერმერებზე გაცემულია:

ძირითადი საშუალებებისათვის: 1.162.000 ლარი–57 ბენეფიციარზე. 611.700 დოლარი–6 ბენეფიციარზე.

საბრუნავი საშუალებებისთვის: 337.700 ლარი-15 ბენეფიციარზე

სულ: 1.999.700 ლარი და 611.700 დოლარი

III. აწარმოე საქართველოში

1. შპს „კოლხური“–კომბინირებული საკვების წარმოება–ქ. ხობი გუბაზ მეფის №5 ინვესტირებული თანხა –900.000 დოლარი. მათ შორის საკუთარი წილი–300.000 დოლარი, შეღავათიანი აგრო კრედიტი–600.000დოლარი

2. შპს „კოლხეთი და კომპანია“–მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმები. ინკუბატორი.–შ/ხორგის ადმინისტრაციული ერთეული

ინვესტირებული თანხა 119.000 დოლარი (შეღავათიანი აგროკრედიტი)

IV. დანერგე მომავალი

პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტში გაშენდა მრავალწლიანი კულტურების ბაღები 42,3 ჰა-ზე. მათ შორის: თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში: შპს „ლაშა-გიორგი-2015“–15ჰა ფეიჰოა (წვეთოვანი რწყვის სისტემით). სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი „წყარო“-16ჰა ფეიჰოა (წვეთოვანი რწყვის სისტემით). გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში: შპს „კლინტექი“–10 ჰა ფეიჰოა (წვეთოვანი რწყვის სისტემით).

V. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის ENPARD-ის(ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისათვის) მიერ დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა საქართველოში სოფლის აღორძინებისთვის“ ფარგლებში საგრანტო დაფინანსება მიიღო:

განხორციელებული პროექტები:

1. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „შამათია“–გრანტი 46. 000 ლარი საკუთარი წილი 20.000 ლარი-მარწყვის სასათბურე მეურნეობის მოწყობა. (გურიფულის ტერიტორიული ერთეული)

2. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „წყარო“–გრანტი 90.000 ლარი. საკუთარი წილი 25.000 ლარი-ტრაქტორის შეძენა და წვეთოვანი რწყვის სისტემის მოწყობა მარცვლეული კულტურებისთვის 15 ჰა-ზე(თორსა-დღვაბის ტერიტორიული ერთეული)

მიმდინარე პროექტები:

1. კოოპერატივი „ხორგის სათბურები“–გრანტი 55.000 ლარი, საკუთარი წილი 15.000 ლარი.-სასათბურე მეურნეობის მოწყობა წვეთოვანი რწყვით და თერმული წყლის გათბობით ბოსტნეული კულტურებისათვის(ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული)

2. ფერმერთა ჯგუფი „ლაკადა“-გრანტი 84000 ლარი, საკუთარი წილი 28000 ლარი. სიმინდის მარცვლის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა.(ფქვილი, ღერღილი,კომბინირებული საკვები)

VI. სადემონსტრაციო ნაკვეთები

ტერიტორიულ ერთეულებში–ნოჯიხევი და ახალსოფელი- ახალი ჯიშებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მიზნით ფერმერთათვის მოეწყო სიმინდის სადემონსტრაციო ნაკვეთები, სადაც დაითესა სიმინდის ახალი ჰიბრიდული ჯიშები

VII. მრპ-ს ხელოვნური განაყოფიერების პუნქტი

ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით მოეწყო მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პუნქტი. სპეციალისტი გადამზადდა ესტონეთში. განაყოფიერების ღირებულების 90%-ს თანადაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ფერმერს უწევს მხოლოდ 10 ლარის გადახდა ერთ სულზე. განაყოფიერება ხდება მაღალი რენტაბელობის(ხორცი, რძე) და ადგილობრივ პირობებზე მაქსიმალურად მორგებული ჯიშებით –ჰოლშტინური, ჯერსიული, წაბლა(შვიცი) და სიმენტალი.

VIII. მელიორაცია-სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ მიერ განხორციელდა დაშრობილი სისტემის სადრენაჟო წმენდის სამუშაოები ადმინისტრაციულ ერთეულებში: ქვ ქვალონი–60ჰა,ახალსოფელი-519ჰა, პატარა ფოთი–900ჰა (MD არხი 8,5 კმ), ჭალადიდი–850ჰა, შავღელე 50 ჰა, ნოჯიხევი–145 ჰა, შუა ხორგა–300ჰა, თორსა-დღვაბა და ხამისქური–970ჰა. სულ–3794ჰა. 2016 წელს დაგეგმილია: პირველი მაისი–200 ჰა, ხამისქური–200ჰა. (სამუშაოები დაწყების ეტაპზეა).

პატარა ფოთის ადმინსტრაციულ ერთეულში 2015 წელს მოეწყო ორი სატუმბი სადგური ცხრა ტუმბოთი (ღირებულება: 1.500.000 ლარი)

შპს „საქართველოს მელიორაციის“ დაკვეთით ჭალადიდის და პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში მაგისტრალურ არხზე (8350 გრძივი მეტრი) ეწყობა 36 ახალი (მათ შორის: 7-მძიმე ტექნიკის, 20-საავტომობილო, 9-საფეხმავლო) და კაპიტალურად გარემონტდება 9 ხიდი. სულ სამუშაოს ღირებულება-940 000 ლარი. დღეის მდგომარეობით უკვე მოწყობილია 3 -მძიმე ტექნიკის და 8-საავტომობილო ხიდი.

IX. წლის მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი

2016 წელს პროექტის ფარგლებში უსასყიდლოდ მოიხნა 10441 ფერმერის კუთვნილი 7170 ჰა-მდე მიწის ფართობი(ღირებულება- 1.003.800 ლარი). 1678 ფერმერს აგრო ბარათებზე კუთვნილი ფართობების შესაბამისად დაერიცხა აგროქულები.

ქვეყნის მასშტაბით აგრარული რეფორმების უმთავრესი კომპონენტია ცალკეული ფერმერების ჯგუფებად–კოოპერატივებად გაერთიანება, რომელიც ფერმერს შესაძლებლობას აძლევს ჰქონდეს ორგანიზაცია, რომელიც საშუალებას მისცემს იმოქმედოს ჯგუფურად და ჰქონდეს მარკეტინგული გეგმები, ისაუბროს გაბედულად საკუთარ პრობლემებზე და იდგეს მყარად. ხელისუფლება უსმენს კოოპერატივებს. ფაქტობრივად, კოოპერატივში გაერთიანებულ ფერმერს არ უწევს დამოუკიდებლად ზრუნვა გასაღების ბაზარზე, საფასო პოლიტიკაზე, ფინანსურ დაგეგმარებაზე, მარკეტინგულ საკითხებზე, რისკმენეჯმენტზე და სხვა. მისი მთავარი ამოცანაა აწარმოოს მეტი ხარისხიანი პროდუქტი და იყოს ბაზრის სტაბილური მიმწოდებელი. სწორედ ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის აქტიური მუშაობისა და მეცადინეობის შედეგად შეიქმნა ხუთი ფერმერისაგან (გურამ შუბითიძე, ჯემალ ფილიპია, ელგუჯა ხარბედია, ლევთერ ბუკია, რობერტ გვიჩია) დაკომპლექტებული კოოპერატივი „ხორგის სათბურები“, რომლებსაც 90-იან წლებში სოფელ ახალსოფელში თერმული წყლების ბაზაზე სასათბურე მეურნეობა ჰქონდათ მოწყობილი და ბოსტნეული კულტურები მოჰყავდათ. ფერმერებმა გადაწყვიტეს გაერთიანებულიყვნენ და ძველი საქმიანობა აღედგინათ, თუმცა საჭირო სახსრები არ აღმოაჩნდათ და დახმარებისათვის მომართეს ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს. სამსახურის თანამშრომლებმა ფერმერებს კოოპერატივის შექმნა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერის პროექტში მონაწილეობა ურჩიეს, რომელიც სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში ევროკავშირის მიერ ფინანსდება. სამსახურის სპეციალისტები კოოპერატივ „ხორგის სათბურები“-ს წევრებს შესაბამისი დოკუმენტაციის შექმნასა და მომზადებაში დაეხმარნენ და ფერმერებმა ორივე ტური წარმატებით გაიარეს. კოოპერატივს გადაეცა დაბრუნებადი გრანტი სასათბურე მეურნეობის მოსაწყობად წვეთოვანი რწყვის სისტემითა და თერმული წყლის გათბობით ბოსტნეული კულტურების მოსაყვანად. ამჟამად მიმდინარეობს სასათბურე კონსტრუქციის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ დაიწყებენ შიდა სამუშაოებს. ხობის მუნიციპალიტეტის მცხოვრებ ყველა დაინტერესებულ პირს, რომელიც უკვე საქმიანობს ან მომავალში აპირებს დაკავდეს სოფლის მეურნეობით, შეუძლია მობრძანდეს ოფისში (ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, ც. დადიანის №18, მესამე სართული, ოთახი 303) ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა ან დაგვიკავშირდით ტელეფონით (595858393, 595858320, 5958583220, 595858365) ჩვენ ადგილზე გავეცნობით თქვენს პრობლემებს და გაგიწევთ შესაბამის კონსულტაციებს.

ხობის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური

28 ივლისი–ჰეპატიტთან ბრძოლის მსოფლიო დღე

ვირუსული ჰეპატიტები– დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა

28 ივლისს ჰეპატიტთან ბრძოლის მსოფლიო დღე აღინიშნა. პირველად ეს დღე 2008 წელს აღინიშნა. 2011 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ეს თარიღი შეიტანა თავის კალენდარში და ამდენად ჰეპატიტთან ბრძოლის მსოფლიო დღემ ოფიციალური სტატუსი შეიძინა. მსოფლიოს მასშტაბით A,B,C,E და სხვა სახის ჰეპატიტებით დაავადებულია 2 მილიარდი ადამიანი.

ვირუსული ჰეპატიტების პრობლემა უწინდებურად აქტუალურია. მოსახლეობას აინტერესებს განსხვავება A,B და C ჰეპატიტებს შორის. ვირუსული ჰეპატიტები ორ დიდ ჯგუფად იყოფა.

პირველი ჯგუფი აერთიანებს იმ დაავადებებს, რომლებიც ვრცელდება ფეკალურ-ორალური გზით ანუ, სადაც დასნებოვნების მიზეზია დაბინძურებული საკვები, ხელები, ესა თუ ის ნივთი, რომელიც პირის ღრუში შეიძლება მოხვდეს. აღნიშნული ჯგუფი მოიცავს A და E ჰეპატიტებს.

A ჰეპატიტი, რომელიც ბოტკინის დაავადების სახელწოდებით იყო ცნობილი, ბავშვთა დაავადებად ითვლება, ის უმთავრესად 14-15 წლამდე ვლინდება. აღნიშნული დაავადება მოსახლეობის 75 პროცენტს ფარულად აქვს გადატანილი. რაც შეეხება E ჰ ეპატიტს, ის საბედნიეროდ, ჩვენში არ გვხვდება.

მეორე ჯგუფში გვხვდება C,B, და D ჰ ეპატიტები, რომელთა გავრცელებაში ძირითად როლს გადაცემის პარენტერალური მექანიზმი ასრულებს. ამ შემთხვევაში კანის დასნებოვნება, კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანებისა და მათზე ვირუსის შემცველი ნებისმიერი ბიოლოგიური სითხის მოხვედრის შედეგად ხდება. B ჰეპატიტი უფრო აქტიურად და ხშირად გადაეცემა სქესობრივი გზით, ვიდრე C ჰეპატიტი, რომელიც ძირითადად გადაეცემა ყველა იმ სამედიცინო თუ არა სამედიცინო მანიპულაციით, რომელიც კანის და ლორწოვანი გარსის მთლიანობის დარღვევითაა გამოწვეული, როგორიც არის არასტერილური სამედიცინო იარაღებით განხორციელებული ქირურგიული, სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური ჩარევები. ასევე არასტერილური ინსტრუმენტებით ჩატარებული წვერის გაპარსვა, მანიკური, პედიკური, პირსინგი, ტატუირება და სხვა. ვერტიკალური მექანიზმით B ჰეპატიტის გადაცემა განხორციელებულია, რადგან ბავშვს დაბადებისთანავე უტარდება როგორც აქტიური, ასევე პასიური იმუნიზაცია. ახალშობილის ორგანიზმში შეყავთ იმუნოგლობულინი ანუ უკვე მზა ანტისხეულები, რათა შებოჭილიქნას ვირუსი. C ჰეპატიტის სქესობრივი გზით გადაცემის ალბათობა გაცილებით მცირეა, ვიდრე B ჰეპატიტისა.

გაცილებით პრობლემურია C ჰეპატიტი იმიტომ, რომ ის მწვავე ფორმით იშვიათად ვლინდება და თავიდანვე გადადის ქრონიკულ ფორმაში, რაც ართულებს იმის დადგენას, თუ როდის დაინფიცირდა ადამიანი. დაავადება მწვავე ფორმით გვხვდება 10-15 პროცენტში. დანარჩენი 85 პროცენტი არის ქრონიკული მიმდინარეობის.

C ჰეპატიტით დაავადებულის სიმპტომები მრავალფეროვანია, მუცლის შებერილობა, გულძმარვა, ბოყინი, დისკომფორტი ნაწლავებში. დროდადრო კუჭ-ნაწლავის მოქმედების დარღვევა და სხვა.

საბედნიეროდ, დღეს საქართველოში ძალიან მაღალია ჰეპატიტების და განსაკუთრებით C ჰეპატიტის, დიაგნოსტიკის დონე.

ა.შ.შ. დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრებთან, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებულიქნა საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო სტრატეგია, რომელშიც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია დაავადების ადრეულ გამოვლენას და სკრინინგს.

ჰეპატიტის C-ს ელიმინაციის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულია სკრინინგის არეალის გაფართოება. საქართველოს ნებისმიერი მოქალაქეს ტესტირება ჩაუტარდება უფასოდ, გამოვლინებული დაინფიცირებული და C ჰეპატიტით ნებისმიერ დაავადებული ადამიანი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილიქნება უფასო მკურნალობით.

პროფილაქტიკა შეიძლება ორი გზით: პირველი შეიძლება თავიდან ავიცილოთ დასნებოვნება, ჰიგიენის დაცვა (ეს შესაძლებელია A და E ჰეპატიტის შემთხვევაში) სისხლის გადასხმისა და სქესობრივი კონტაქტისას უსაფრთხოების წესების დაცვა (B და C ჰეპატიტების დროს). მეორე–შეიძლება გაკეთდეს აცრა, როგორც წესი, ვაქცინა საიმედოდ იცავს ადამიანს B ვირუსით დასნებოვნებისგან.

ჰეპატიტებთან ბრძოლის მსოფლიო დღის აღნიშვნა პირველ რიგში მიმართულია ფართო საზოგადოებისადმი და სპეციალისტების მიერ აღნიშნული პრობლემებისადმი ყურადღების მისაქცევად, პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩასატარებლად მოქალაქეების დაინტერესების ამაღლებისაკენ.

სტატისტიკურად საქართველოში სკრინინგის შედეგად დადგინდა, რომ სამეგრელოს რეგიონში C ჰეპატიტით ავადება ყველაზე მაღალია დანარჩენ რეგიონებთან შედარებით.

შორენა საბახტარაშვილი,
ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო თანაუგრძნობენ გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსს ქალბატონ როზეტა შულაიას მამის

ზაურ შულაიას

გარდაცვალების გამო.

შპს „ხობის მოამბეს“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ გაზეთის გულშემატკივარს, ქალბატონ როზეტა შულაიას და მის ოჯახს მამის, საუკეთესო პიროვნების, დიდსულოვანი ადამიანის

ზაურ შულაიას

გარდაცვალების გამო.

გამოსათხოვარი

ზაურ შულაია



არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებითა და საქმიანობით წარუშლელ კვალს ტოვებენ საზოგადოებაში, ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი ზაურ შულაია. იგი ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა. მან განსაკუთრებული ადგილი დაიკავა მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში თავისი ინტელექტით, თავმდაბლობით, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით და უმწიკვლო წარსულით.

ბატონ ზაურის სინდის-ნამუსი ქუდბედად ჰქონდა თანდაყოლილი. მას განსაკუთრებულად უყვარდა სამშობლო, ქალაქი, ოჯახი, მეგობრები. გამოირჩეოდა პრინციპულობით, საქმისადმი ერთგულებით.

ზაური შულაია დაიბადა 1940 წლის 7 იანვარს, თეკლათში, პედაგოგების ოჯახში. სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სევასტოპოლის უმაღლეს სამხედრო სკოლაში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1961 წელს. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, 1965 წელს ასევე ჩააბარა და წარმატებით დაამთავრა მილიციის უმაღლესი სკოლა. იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი მძლეოსნობაში, მონაწილეობას ღებულობდა საჭადრაკო ტურნირებში, სადაც მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი სპორტული მიღწევებისთვის. ფლობდა რუსულ, უკრაინულ, გერმანულ ენებს. მუშაობდა ჯერ თბილისის საავიაციო ქარხანაში, შემდგომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კომკავშირული უჯრედის ხელმძღვანელად.

1967 წელს მიიღო გადაწყვეტილება ეცხოვრა დედის სიახლოვეს და ითხოვა გაენაწილებინათ დასავლეთ საქართველოს ნებისმიერ რაიონში, რაც იმ პერიოდში იშვიათი შემთხვევა იყო.

1967–1983 წლებში იმუშავა ქვალონის, ხეთის, ხამისქურის უბნის ინსპექტორად, ხობის რაიონული მილიციის განყოფილების სამორიგეო ნაწილის უფროსად. იყო მილიციის მაიორი.

ზაურ შულაია 1983 წელს დაინიშნა საპასპორტო სამსახურის უფროსად. მონაწილობა მიიღო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მიმდინარე საომარ ოპერაციებში. იყო სამხედრო ძალების ვეტერანი. თანამდებობა დატოვა საკუთარი განცხადების საფუძველზე საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირების დროს, რადგან უარი თქვა აეღო იარაღი თანამოქალაქეთა საწინააღმდეგოდ და პროტესტი გამოხატა იარაღის ძალით მოსული ძალების მიმართ.

ზაურ შულაიას მიღებული ჰქონდა მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო მნიშვნელობის ჯილდო სამსახურებრივი მოვალეობის პირნათლად შესრულებისთვის...

„ყველაფერი ძველდება მზის ქვეშეთში, იცვლება, იფანტება, მტვრად და ფერფლად უბრუნდება მარადისობის წიაღს“–სამარადისოდ რჩება მხოლოდ სიყვარული, რომლითაც სავსე იყო ბატონი ზაურის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა მისი ვალმოხდილი სული.

მეგობრები.

ხსოვნა

„ციხიერ სევდად მოგბიტაცა მარადისობამ“

ზიკო ტურავა



ათ აგვისტოს ცხრამეტი წლის გახდები, ზიკო! იმ ასაკის, ასე ძალიან რომ გინდოდა დელტვოდი, გახდები, ოღონდ მარადისობაში.

გვინდა კიდევ ერთხელ დიდი ტკივილით მოგესიყვარულოთ და ეს დაბადების დღე იმ სიტყვებით მოგილოცოთ ძალიან, ძალიან რომ მოგწონდა. „ეს დღე შენია, მეგობარო, შენი დაბადების დღე! ვაჩუქოთ ერთმანეთს ამ დღეს ღიმილი, სიყვარული, სითბო ან მინდვრის ყვავილები, ან თუნდაც ნურაფერს ვაჩუქებთ. მხოლოდ მაგრად ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს და თბილად ჩავხედოთ თვალებში.“

ამ განსაკუთრებულ დღეს უშენოდ შევხვდებით. წახვედი ჩვენგან, „უშენობა გვაწვიმს და გვათოვს“, მაგრამ ვინ და როდის გაქცევია განგების მკაცრი განაჩენით გამოტანილ ბედისწერას, თორემ „რომ შეგვძლებოდა შენს სიკვდილსაც მოვიპარავდით.“ ვერ ჩავკიდებთ ხელს ერთმანეთს, ვერ ჩაგხედავთ შენს ლამაზ, მწვანე თვალებში, ვერ გაგიღიმებთ ისე, როგორც ადრე. აი, შენი საყვარელი ყვავილები კი ძალიან ბევრი იქნება, ბევრი იქნება მოგონებაც, ცრემლიც... ზღვა იქნება ცრემლებისა...

სამწუხაროდ, მხოლოდ ცხრამეტი წელი მოგითვალა განგებამ, მაგრამ შენ მიერ განვლილი მეტად ხანმოკლე გზის მიუხედავად, შენ შეძელი ადამიანების მეხსიერებაში დარჩენილიყავი რჩეულთა შორის რჩეულად, განსაკუთრებულ, უფაქიზეს, თბილ, ჭკვიან, სიცოცხლის მოყვარულ პიროვნებად. უტეხი ძალა და მტკიცე ნებისყოფა ჩანდა შენს ლამაზად ჩამოქნილ სახესა და სხეულში, თავისებური ნაბიჯებით სიარულსა და ჭეშმარიტ რაინდულ ქცევაში.

დარწმუნებული ვართ, იქიდან, გაღმა მხარიდან, ისევ გვიღიმი, ზრუნავ, ფიქრობ ჩვენზე, როგორც იცოდი ხოლმე, შენ ხომ ისევ ის ხარ, რაც იყავი, ამიტომაც ჩვენც ისევ ისე გესაუბრებით, ისევ ისე ვფიქრობთ შენთან ერთად, როგორც მაშინ, როცა ამქვეყნად, წარმავალ საუფლოში იყავი, თუმცა ვეღარ ვიცინით ისე და იმაზე ისე გულიანად, რაზეც გვეცინებოდა...

სიყვარულით და ღიმილით გვინდა გაგიხსენოთ და თვალები ისევ ცრემლით გვევსება, დრო ტკივილებს კურნავსო და უფრო და უფრო ტკივდება. რომ შეგვეძლოს სულს მოგცემდით,ერთხელ კიდევ რომ ამოგესუნთქა, გულს მოგცემდით, ერთხელ კიდევ რომ აგტკივებოდა, ჩვენს სიცოცხლეს დაგითმობდით, ერთხელ კიდევ რომ გეცხოვრა, ნეტავ შეგვეძლოს... სულს მოგცემდით, ქვეყნად ყველაზე წრფელი თვალები რომ გვენახა... გაწვიმდი... გათოვდი... ოღონდ მოდი... თუნდაც წვიმის შემდეგ მიწის სურნელად მოდი...

როცა სიკვდილი ჩვენც აგვყრის ბორკილებს, როცა ჩვენი სული სასუფეველში შევა და ერთად მოვიყრით თავს ის ადამიანები, რომლებსაც ასე ძალიან უყვარდი და გიყვარდა, იქ ერთად აღვნიშნავთ შენი დაბადების დღეს და არა მარტო ამ დღეს. „შენ ზეცაში გადაიხდი ქორწილს, ანგელოზნი გაგიშლიან სუფრას...“

მანამდე კი ამ არაჩვეულებრივი შეხვედრის მოლოდინით ვიცხოვრებთ, ზიკო.

ნანა და სოსო ტურავები.
ლალი დვალიძე.

ლელოს აღორძინება სამეგრელოდან იწყება

ჩვენი ეროვნული საუნჯე–ლელობურთი რამდენიმე ათასი წლისაა და მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს თამაშად ითვლება. მისი აღორძინება სამეგრელოდან დაიწყო. უკვე სამი წელია, რაც სენაკსა და ხობში სოფლებს შორის ლელობურთში პირველობები ტარდება, მარტვილში გაიმართა სკოლების პირველობა, აგრეთვე ჩოხატაურისა და მარტვილის ვეტერანთა შეხვედრები. ლელოს თამაშობენ ზუგდიდში, ჩხოროწყუში, წალენჯიხასა და აბაშაში. ყველაზე დიდი ღონისძიება კი ხობში ცოტნე დადიანის სახელობის სახალხო ზეიმის დროს ტარდება.

საქართველოს ლელოს ფედერაციისა და საქართველოს რაგბის კავშირის ურთიერთშეთანხმებითა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პატრონობით, 2016 წლიდან დაიწყო სამეგრელოს ჩემპიონატი, რომელშიც სამეგრელოს რვავე რაიონი მონაწილეობს.

მთელ მსოფლიოში სათუთად უვლიან სპორტის ეროვნულ სახეობებს (ავსტრალიაში ავსტრალიურ ფეხბურთის თამაშებს ესწრება 80000 მაყურებელი; ა.შ.შ.-ში–ამერიკულ ფეხბურთს, იგი სპორტის პირველ სახეობადაა აღიარებული; სუმოს–იაპონიაში და ა.შ.).

სპორტის არც ერთი ეს სახეობა არ არის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში, არ ტარდება არც მსოფლიო და არც ევროპის ჩემპიონატები, მაგრამ უამრავი მაყურებელი ესწრება. ახლახან რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ინგლისში ჩატარდა და ასე გვასახელეს ჩვენმა მორაგბეებმა, მეც ვიყავი. ჩემმა ინგლისელმა მეგობრებმა წამიყვანეს რამდენიმე სკოლაში, რომელთა დათვალიერება, მართლაც რომ ღირს. სპორტს განასაკუთრებული ყურადღება ექცევა ინგლისურ სკოლებში. სათამაშო სახეობებიდან ძირითადად რაგბი, ფეხბურთი და კრიკეტია დანერგილი. რაგბი და ფეხბურთი გასაგებია, ეს თამაშები ინგლისელების მოგონილია, ხოლო კრიკეტი, რომელიც ასევე მათ მოიგონეს, იცის ნებისმიერმა ინგლისელმა (გამოვკითხოთ ჩვენთან ნებისმიერი 50 ადამიანი და ვკითხოთ ლელოს წესები. დარწმუნებული ვარ, არც ერთს არ ეცოდინება). როცა მე მათ ვაჩვენე ლელოს ვიდეოები (საქართველოს არმიაში ლელოს უკვე რამდენიმე წელია თამაშობენ), გაკვირვებულებმა მითხრეს: „ეს ხომ იგივე რაგბია. აი თურმე რატომ თამაშობენ ქართველები რაგბის ასე კარგად. ფეხბურთი და რაგბი ჯერ 200 წლისაც არ არიან, თქვენ კი 3 000 წლის ლელო გაქვთ“. მაგრამ როცა გაიგეს, რომ ლელო საქართველოში თითქმის მივიწყებულია, გაოგნებულებმა მითხრეს: „ლელო რომ ინგლისური თამაში იყოს, ის პირველი სპორტი იქნებოდა ბრიტანეთში. მას ითამაშებდნენ სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები, საბავშვო ბაღებშიც კი“.

აი რა დაწერა ინგლისურმა გაზეთმა Rugbydump-მა : „ქართული რაგბის ისტორიას გადავავლოთ თვალი. რა ვიცით ქართული რაგბის შესახებ? თავად საქართველოს შესახებ, რაგბის გარდა ვიცით რამე? ქართული რაგბის, „ლელოების“ წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარი თავად ლელოა–უძველესი ქართული სახალხო თამაში დიდ მოედანზე ბურთით და კონტაქტის ელემენტებით. იგი ძალიან წააგავს რაგბის. როგორც ჩანს, ეს არაა ერთადერთი, თუმცა ერთ-ერთია ახსნა, იმ ძლიერი და უნიკალური ფონდისა, რომელზეც საქართველოა დაფუძნებული“.

კომუნიტების დროს ლელო შეტანილი იყო საქართველოს სპარტაკიადის პროგრამაში და მას ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში თამაშობდნენ. ახლა რა დაგვემართა, რატომ ვივიწყებთ ლელოს? პირადად ჩემთვის ლელო იგივეა, რაც „ვეფხისტყაოსანი“, ქართული ხალხური პოეზია, ცეკვა და სიმღერა. მათი დავიწყება შეიძლება?

ლელოს აღორძინებას საქართველოში არ სჭირდება უსაზღვროდ დიდი თანხები, რადგან საერთაშორისო დონის შეჯიბრებები არ გვექნება, რაც ყველაზე ძვირია. მას ითამაშებენ მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში.

მე და ჩემმა მეგობრებმა უკვე რამდენიმე წელია დავხვეწეთ ლელოს წესები, შევიმუშავეთ არაძვირადღირებული პროექტები, ჩავატარეთ შეჯიბრებები. მხედველობაში მაქვს სპორტული ლელო, რომელსაც თამაშობენ ფეხბურთისა და რაგბის მოედნებზე. 1945 წლიდან 1991 წლამდე ტარდებოდა რეგულარულად საქართველოს ჩემპიონატები და სპარტაკიადები (იხილეთ ჩვენი საიტი www.lelo.comyr.com), მაგრამ ახლა მხოლოდ სამეგრელოში ტარდება შეჯიბრებები. ეს კი ზღვაში წვეთია. შუხუთის ლელო (სხვათა შორის სამტრედიის სოფელ ილორშიც ტარდება ყოველ წელს ლელო). ეს არის უნიკალური სახალხო თამაში, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ხალხი კიდევ დიდხანს ითამაშებს.

დავით კილასონია,
ღირსების ორდენისა და ღირსების მედლის კავალერი. საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, დამსახურებული მწვრთნელი რაგბიში, საქართველოს ლელოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სამეგრელოს რეგიონის ოლიმპიური კომიტეტისა და რაგბის კავშირის თავმჯდომარე.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს

ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

დანართი №1

№	დასახელება	სავარაუდო წონა	სავარაუდო ღირებულება	ბე 10%	ბიჯი 10%	ბილეთის ღირებულება
1	ჯართი პ/მაისის საბავშვო ბაღში	1400	70	7	7	20
2	ჯართი ზუბის სასოფლო კლუბში	4000	240	24	24	20

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2016 წლის 9 აგვისტო, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–707017021, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–TRESGE22

აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში, გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება, აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“- ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ)„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა , თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურში, საკონტაქტო პირი-**ლამზირა თოდუა -ტელ-599-85-60-91**

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა

განცხადება

2016 წლის 8 სექტემბერს, 14 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189) გაიმართება ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთი საზღვაო ტერმინალის ტერიტორიაზე ახალი (№6) სარეზერვუარო პარკის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია, ქიმიური ტვირთების-პიროლიზური პროდუქტის, იზოპროპილის სპირტისა და ინდუსტრიული ზეთის ოპერირებისათვის, ახალი სარეზერვუარო პარკის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

*** ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქ. №189;**

*** შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა.**

ტელ: 2 60 15 27.

*** შპს „შავი ზღვის ტერმინალი“-ს ოფისში - ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყულევი.**

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირს:

*** ჯუღული ახვლედიანი. ტელ: 2 60 15 27; E-mail: j.akhvlediani@gamma.ge ;**

შპს „შავი ზღვის ტერმინალი“-ს ადმინისტრაცია

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1
ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57.
ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.